



გალტი & თავართი

შპს-ით შვისაკლამბლობბბს

ნედლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

6 სექტემბერი 2023

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | evabochorishvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.8036

კახაბერ სამყურაშვილი

სექტორული კვლევების ხელმძღვანელი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

გიგა ნოზაძე

უფროსი ანალიტიკოსი | gnozadze@gt.ge | +995 322 401 111 ext.2536



ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თ/თ*	ცვლილება, წლის დასაწყისიდან	ფასის ცვლილება იან-21-დან დღემდე
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	240.0	+26.3%	-36.0%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	86.9	+1.5%	+1.1%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	8,404.5	-4.5%	+0.5%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,335.0	-2.9%	-18.8%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,484.9	-3.6%	-25.1%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	1,940.2	-1.3%	+6.4%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მვტ სთ	33.6	+12.0%	-52.5%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	231.0	+2.2%	-18.2%	

წყარო: ბლუმბერგი

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი

2023 წლის აგვისტოში ნავთობის ფასი თვიურად 1.5%-ით გაიზარდა. ნავთობის ფასები დასტაბილურდა 85 აშშ დოლარის ირგვლივ, მას შემდეგ რაც ივლისსა და აგვისტოს დასაწყისში საუდის არაბეთისა და რუსეთის მიერ წარმოების შემცირების დაანონსებამ, ფასების ზრდა გამოიწვია. ნავთობის ბაზარზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩინეთის ეკონომიკური ზრდის შენელება (JP Morgan-მა 2023 წლის პროგნოზი 4.8%-მდე შეამცირა 6.4%-დან) და საპროცენტო განაკვეთების ზრდა. ასევე საგულისხმოა იმის მაღალი ალბათობა, რომ აშშ-მ შესაძლოა მოხსნას ირანისა და ვენესუელის ნავთობის ექსპორტზე დაწესებული ლიმიტები. ამასთანავე, ჰეჯ-ფონდებმა შეცვალეს თავიანთი პოზიციები და მომავალში ფასების კლების მოლოდინების გათვალისწინებით დაიწყეს სპეკულაცია.

ბუნებრივი აირი


2023 წლის აგვისტოში ბუნებრივი აირის ფასი 12.0%-ით გაიზარდა. ევროპაში ბუნებრივი აირის ბაზარზე არასტაბილურობაა, რაც ძირითადად გამოწვეულია ავსტრალიიდან თხევადი ბუნებრივი აირის ექსპორტის შეფერხებით. რუსეთთან პოლიტიკური დაძაბულობის გამო, ამ პროდუქტზე ევროპის დამოკიდებულება მნიშვნელოვნად არის გაზრდილი (ბუნებრივი აირის მოხმარების 40%), რამაც კონტინენტი ენერჯეტიკული შოკების მიმართ მონყვლადი გახადა. შედეგად, ევროპას უწევს კონკურენცია აზიელ შემსყიდველებთან, ძირითადად ამერიკულ თხევად ბუნებრივ აირზე. ამ ეტაპზე, დაბალი აქტივობა ევროპაში და 90%-ით შევსებული მარაგები, ფასებს მეტნაკლებად სტაბილურობას უნარჩუნებს, თუმცა მოსალოდნელზე ცივი ზამთრის შემთხვევაში, არასტრატეგიურობაა მოსალოდნელი.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მვტ სთ




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 3: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატი

2023 წლის აგვისტოში ამონიუმის ნიტრატის ფასი 26.3%-ით გაიზარდა, რაც ყველაზე მაღალი ნიშნულია 2023 წლის მარტის შემდეგ. ზრდა განპირობებულია ევროპაში ბუნებრივი აირის ფასების ზრდით, რაც სასუქების წარმოების მთავარი კომპონენტია. ამასთან, გაზრდილი საოპერაციო ხარჯების გამო, ევროპაში 10-მდე მსხვილმა მწარმოებელმა შეამცირა წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან სასუქების ექსპორტი ძირითადად დასტაბილურებულია, აზოტოვანი სასუქების მიწოდებასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო მაინც მოსალოდნელია ბაზარზე გარკვეული მერყეობა, განსაკუთრებით ევროპაში ბუნებრივი აირის ფასების არასტაბილურობის ფონზე.

ხორბალი


2023 წლის აგვისტოში ხორბლის ფასი 2.2%-ით გაიზარდა. ხორბლის მიწოდებაში გაურკვევლობა კვლავაც გრძელდება, რაც რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის და მარცვლეულის შეთანხმების შეწყვეტითაა განპირობებული. ამასთან, 2023 წელს კანადაში, ხორბლის ერთ-ერთ მთავარ მწარმოებელ ქვეყანაში, მოსალოდნელია რომ მშრალი კლიმატური პირობები წარმოების წლიურად 14%-ით შემცირებას გამოიწვევს 2023 წელს. გაზრდილი გაურკვევლობის მიუხედავად, ხორბლის საორიენტაციო ფასები კვლავ 20%-ით დაბალია წინა წელთან შედარებით, რაც განპირობებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში უხვი მოსავლით.

გრაფიკი 5: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 7: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 8: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები


სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2023 წლის აგვისტოში სპილენძის ფასი თვიურად 4.5%-ით შემცირდა. სპილენძის ფასები ბოლო პერიოდში მერყეობით ხასიათდება. ჩინეთის (სპილენძის უმსხვილესი მომხმარებელი) ეკონომიკური სტიმულირების პოლიტიკის გამო სპილენძის ფასი თავდაპირველად გაიზარდა, მაგრამ მოგვიანებით დაეცა ჩინეთში სუსტი ეკონომიკური მონაცემებისა და აშშ დოლარის გაძლიერების ფონზე. საოპერაციო პრობლემების გამო, სპილენძის მომპოვებელმა რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ შეამცირა 2023 წლის წარმოების პროგნოზი, რამაც საბოლოო ჯამში შეამცირა სპილენძის მოსალოდნელი გლობალური წარმოება. თუმცა, სექტემბრიდან მოსალოდნელია მაღალი სეზონური აქტივობა ჩინეთის სპილენძის ბაზარზე და სპილენძის ფასები სავარაუდოდ 8,600 აშშ დოლარის ფარგლებში იმერყევებს, S&P Global-ის მიხედვით.

ფეროსილიკონი


2023 წლის აგვისტოში ჩინურ და ევროპულ ფეროსილიკონზე ფასები თვიურად 2.9%-ით და 3.6%-ით შემცირდა, რაც წინა თვეების ტენდენციების გაგრძელებაა. სუსტი გლობალური მოთხოვნა ასევე აისახა ქართული ფეროშენადნობების ექსპორტზე, რაც წლიურად 68.6%-ით შემცირდა.

გრაფიკი 9: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 10: ფეროსილიკონის (75%) ფასი, აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 11: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 12: ფეროშენადნობების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი




ძვირფასი ლითონები

ოქრო


2023 წლის აგვისტოში ოქროს ფასი თვიურად 1.3%-ით შემცირდა. ალტერნატიულ აქტივებზე რეალური ამონაგების, საპროცენტო განაკვეთების ზრდისა და აშშ დოლარის გაძლიერების მიუხედავად, ოქრო ინვესტორებისთვის კვლავ მიმზიდველია. ამასთან, კვლავ გაურკვეველია ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების ციკლის დასრულების თარიღი, რაც ოქროს ფასებზე დადებით გავლენას ახდენს. გარდა ამისა, გეოპოლიტიკური დაძაბულობა, მაკროეკონომიკური გაურკვეველობა და მოთხოვნა ინვესტორებისგან, რომლებიც ფედერალური სარეზერვო სისტემის მხრიდან განაკვეთების ზრდის დასრულებას ელიან, ოქროს კიდევ უფრო მოთხოვნადს გახდის. ამჟამად უნცია ოქრო 1,940 დოლარად ივაჭრდება, თუმცა პროგნოზები მერყეობს 2,000-2,100 აშშ დოლარის ფარგლებში და ზოგიერთი პროგნოზის მიხედვით შესაძლოა 2,250 დოლარსაც მიაღწიოს.

გრაფიკი 13: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 14: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველაფერს შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების, ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გააღვიძოს მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი |

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lkavtaradze@gg.com

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემიშვილი | giremashvili@gg.com

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gg.com

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gg.com

სექტორის უფროსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gg.com

უფროსი ანალიტიკოსი
გიგა ნოზაძე | gnozadze@gg.com

უფროსი ანალიტიკოსი
გიორგი ცხიტიშვილი | g.tsikitishvili@gg.com

უფროსი ანალიტიკოსი
ზურაბ თავცილიშვილი | ztavklishvili@gg.com

უფროსი ანალიტიკოსი
სერგი ყურაშვილი | skurashvili@gg.com

ანალიტიკოსი
დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gg.com

ანალიტიკოსი
მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gg.com

ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gg.com

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gg.com